სამაგისტრო პროგრამა
„ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვა“
კურიკულუმი

დამტკიცებულია

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 21 აპრილი № 02 დადგენილებით

პროგრამის სახელწოდება
ვებ და მულტიმედია პროექტის ტექნოლოგიები და მართვა Web and multimedia project technologies and management
საფეხური
მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ინფორმატიკის მაგისტრი, Master of Informatics (**0613.1.1**)
პროგრამის ხელმძღვანელი
ნინა კარბელაშვილი აფილირებული პროფესორი, დაწვრილებითი ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის, მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობასთან დაკავშირებით მოცემულია პროგრამაზე თანდართულ დოკუმენტაციაში.
პროგრამის მოცულობა
სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. **კვალიფიკაციის მისაღებად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის** ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს - **120 კრედიტი,** რომელიც შეადგენს პროგრამაში შემავალი ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის (სავალდებულო და არჩევითი) სასწავლო კურსების და კომპონენტების და თავისუფალი კომპონენტების კრედიტების ჯამს: 1. ძირითადი სწავლის სფეროს **სავალდებულო სასწავლო კურსებში და კომპონენტებში** მაგისტრანტრმა **უნდა დააგროვოს 82 კრედიტი**, მათ შორის სავალდებულო სასწავლო კურსებიდან - **55 კრედიტი;** სავალდებულო პრაქტიკულ კომპონენტში **9 კრედიტი** და სავალდებულო საკვალიფიკაციო ნაშრომი-პროექტი **18 კრედიტი**; პრაქტიკული კომპონენტი შესაძლებელია განხორციელდეს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკის და ინჟინერიის სკოლის ტექნიკურ(ლაბორატორია)ბაზაზე ან იმ დაწესებულებებში, რომლებთანაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი/ ხელშეკრულება აქვს გაფორმებული უნივერსიტეტს ან ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლას(ფაკულტეტს); პრაქტიკული კომპონენტის და საკვალიფიკაციო ნაშრომის-პროექტის დეტალური აღწერა მოცემულია შესაბამის სილაბუსებში და თან ერთვის სასწავლო პროგრამას. კომპონენტებთან დაკავშირებული დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია - ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის (ფაკულტეტის) მაგისტრატურის დებულებაში. 2. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსებიდან სტუდენტი აგროვებს **20 კრ**.;

სამაგისტრო პროგრამა
„ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვა“
კურიკულუმი

3. თავისუფალი კომპონენტის ნაწილში სტუდენტი აგროვებს **18 კრედიტს**, რომელიც მოიცავს თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო ნაწილიდან **10 კრედიტს** და თავისუფალი კომპონენტის არჩევითი ნაწილიდან **8 კრედიტს**, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტს ჩამოიყალიბოს და/ან გაიღრმავოს ზოგადი ტრანსფერული უნარები და გაიფართოვოს თვალსაწიერი მისთვის საინტერესო სფეროებში.
4. თავისუფალი კომპონენტის არჩევით ნაწილში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს 8 კრედიტი არა მხოლოდ წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამიდან, არამედ შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა, იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან ან საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული იმავე საფეხურის აკრედიტებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან ან უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიერ.

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადება ინტერდისციპლინური ინფორმატიკის პროექტებისა და კვლევების განსახორციელებლად, ასევე პროექტების ხელმძღვანელობისა და მართვის უზრუნველსაყოფად, რაც წარმოადგენს სახელმწიფო ორგანიზაციების, მსხვილი კორპორაციების, მცირე ბიზნესისა და სხვადასხვა დარგის მეცნიერების სულ უფრო მზარდ მოითხოვნას;
სხვადასხვა მიმართოლების კომპანიებში, სახელმწიფო დაწესებულებებში ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად და მაღალანაზღაურებად პოზიციას წარმოადგენს პროექტის ხელმძღვანელი ინფორმატიკის და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში. აქედან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

1. მოამზადოს ღრმა და სისტემური ცოდნის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც მზად იქნება პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობისათვის ინფორმატიკის და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების სხვადასხვა სფეროში;
2. მოამზადოს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით და უნარებით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ვებ და მულტიმედია პროექტების ტექნოლოგიების გამოყენებას, მართვასა და დანერგვას სხვადასხვა სამეცნიერო, საინჟინრო, საგანმანათლებლო, და კომერციულ სფეროში;
3. განუვითაროს პროფესიული ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღების, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი, რომელიც დაკავშირებულია არსებული სისტემების მოკვლევასთან და ანალიზთან და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვასთან;
4. გამოუმუშაოს სტუდენტებს გუნდური გადაწყვეტილებების შემუშავებაში ინიციატივის გამოვლენის, სწრაფი ორიენტირების და ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უნარი;
5. ჩამოუყალიბოს შესაბამის ფორმატში აკადემიურ ან/და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარი;
6. განუვითაროს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.
7. მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი დარგში ღირსეული კარიერისთვის,

სამაგისტრო პროგრამა
„ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვა“
კურიკულუმი

რომელიც მოტივირებული იქნება მეტს მიაღწიოს პროფესიული თვალსაზრისით შიდა და გარე ბაზარზე.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც სკოლის (ფაკულტეტის) მიერ განხორციელებულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე; წარმატებით გაივლის შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებას უცხო ენაში(ინგლისური) და გასაუბრებას სპეციალობაში. გასაუბრების ფორმატი- ზეპირი გასაუბრება: • თუ აბიტურიენტს აქვს ბაკალავრის დიპლომი IT-მიმართულებით - მასთან გასაუბრება არ ტარდება, და მიიღება ეროვნილი გამოცდის ქულების მიხედვით; • თუ აბიტურიენტს აქვს ბაკალავრის დიპლომი სხვა მიმართულებით - ასეთ შემთხვევაში გამოიყოფა შემდეგი კრიტერიუმი: 1. მისი მიმდინარე სამუშაო ადგილი უკავშირდება IT-სფეროს; 2. მისი წინა სამუშაო ადგილი უკავშირდებოდა IT-სფეროს და მას აინტერესებს ამ მიმართულებით შემდგომი განვითარება; 3. მისი სამუშაო ადგილი არ უკავშირდებოდა IT-სფეროს მაგრამ მას აინტერესებს ამ მიმართულებით შემდგომი განვითარება; საუნივერსიტეტო გასაუბრების თემები და საკითხები ქვეყნდება ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ვებ გვერდზე (https://www.gau.edu.ge/storage/app/media/uploaded-files/2023gasaubrebissakitkhebisamagistro-2.pdf). ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა შეავსოს უცხო ენის (ინგლისური) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ტესტი. პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი ან პირველი საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა გავლილი აქვს უცხო ენაზე(ინგლისური) ტესტირებისგან თავისუფლდება.
სავარაუდო სტუდენტების რაოდენობა
20
დასაქმების სფერო
ინფორმატიკის მაგისტრს, შეუძლია წარმატებით იმუშაოს ნებისმიერ სახელმწიფო, კომერციულ, სამეცნიერო, საინჟინრო, სარეკლამო, საგანმანათლებლო, საბანკო ან სხვა ორგანიზაციებში. მას შეეძლება სხვადასხვა სფეროში ინფორმაციული პროცესებისა და ტექნოლოგიების მოკვლევა, დაპროექტება, გამოყენება, მულტიმედიური და ვებ პროექტების შემუშავება, მართვა და ადმინისტრირება, ელექტრონული ბიზნესის მენეჯმენტი, ბიზნეს-რესურსების დაგეგმვა, პროექტის მენეჯმენტი, ვებ კონტენტის მენეჯმენტი და სხვა მოღვაწეობა ინფორმატიკის სპეციალობით.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა
სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურზე – დოქტორანტურაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
სწავლის შედეგები
ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი: 1. **ფლობს და იყენებს** ვებ და მულტიმედია პროექტების ტექნოლოგიებს და მენეჯმენტის

არსებულ, ახალ და ინოვაციურ თეორიებს და მეთოდებს; იკვლევს და აღწერს ბაზრის მოთხოვნებს სხვადასხვა სამეცნიერო, საინჟინრო, საგანმანათლებლო და კომერციულ სფეროში მულტიმედია პროექტების განხორციელების აუცილებლობის დადგენის, მართვისა და დანერგვის მიზნით;

2. **ახორციელებს** პრაქტიკულ და მოძიება-მოკვლევის საქმიანობას ინფორმატიკის და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების სხვადასხვა სფეროში, ამუშავებს სფეროსათვის დამახასიათებელ მონაცემებს, მიღებული ღრმა და სისტემური ცოდნის კრიტიკული გააზრების საფუძველზე. შეაქვს წვლილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით სფეროს განვითარებაში.
3. **აანალიზებს და აფასებს** არსებული სისტემების ქმედითუნარიანობის გამოკვლევის, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის გადაწყვეტილებების შედეგებს, აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნას, იღებს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების თაობაზე სხვადასხვა პრაქტიკულ და კვლევით სფეროში;
4. **იჩენს** ინიციატივას გუნდური მუშაობის და გადაწყვეტილების შემუშავების პროცესში, ავლენს სწრაფი ორიენტირებისა და ეფექტური მოქმედების უნარს. გუნდური მუშაობის პროცესში ავლენს განსხვავებული აზრის მიღების უნარს და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები;
5. **მსჯელობს** აკადემიური კეთილსინდისიერებით, შესაბამის ფორმატში და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით საკუთარი დასკვნების, არგუმენტებისა და მეთოდების შესახებ აკადემიური ან/და პროფესიული საზოგადოების წინაშე ქართულ და უცხოურ ენებზე, იყენებს საზოგადოებასთან ურთიერთობის პრინციპებს;
6. **ასრულებს** საკვალიფიკაციო ნაშრომს-პროექტს. დამოუკიდებლად ახდენს თემის შესაბამისი მასალების, პრაქტიკული ხედვებისა და ანალოგების მოძიება-მოკვლევას. ადგენს პროექტის შექმნის, მართვისა და დანერგვის გეგმას. ახდენს შესრულებული ნაშრომის პრეზენტაციას. **გეგმავს, განსაზღვრავს და წარმართავს** პროფესიული ცოდნის გაღრმავებისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, საკუთარი პერმანენტული სწავლის და კარიერული ზრდის მიმართულებებს;
7. **ამუშავებს** ბაზრის ანალიზის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას ცალკეული ბიზნეს ამოცანების გადაწყვეტისთვის; იყენებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი სასწავლო და სამუშაო გარემოს სამართვად თანამედროვე მარკეტინგულ მეთოდებს; **აანალიზებს** უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით საერთაშორისო ბაზრის შერჩევისა და გლობალური მარკეტინგული პროგრამების შემუშავების ახალ გზებსა და იდეებს;

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმატი და მეთოდები

☒ ლექცია

☒ სემინარი/პრეზენტაცია-დემონსტრირება

☒ საშინაო დავალება

☒ პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა

☒ ჯგუფში მუშაობა

☒ ელექტრონული სწავლება

☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☒ სასწავლო პრაქტიკა

☒ საკვალიფიკაციო ნაშრომი-პროექტი;

☒ **სხვა;**

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე ფორმატს, მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

შეფასების სისტემა
დეტალურად სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ათვისების შეფასება წარმოდგენილია პროგრამის განხორციელებისათვის განკუთვნილ თითოეულ სასწავლო კომპონენტში. სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება სწავლების პროცესში აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად. სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს მაქსიმალურ საბოლოო შეფასებას - 100 ქულას. სასწავლო კურსში სტუდენტის შეფასება წარმოებს მთელი სასწავლო სემესტრის განმავლობაში. შესაბამისად, სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს; შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნა/გაცნობიერების ან/და უნარის ან/და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის შეფასების ხერხს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ტესტი, ქვიზი, სემინარი/პრეზენტაცია, პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაო, საშინაო დავალება/დამოუკიდებელი სამუშაო და სხვა.). შეფასების კომპონენტები აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, პრეზენტაცია, გრაფიკული ნაშრომი და სხვა). შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით. შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში. **დასკვნითი გამოცდის შეფასების ქულაა 40**, დანარჩენი 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით; შუალედური შეფასების 60 ქულის განაწილება შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ტესტირებას, სემინარებზე, პრაქტიკულ მეცადინოებებზე აქტივობას, პრეზენტაციებს, საშინაო დავალების განილვას და სხვა, წარმოებს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და დეტალურად გაიწერება სილაბუსში კურსის წამყვანი პროფესორის მიერ; შეფასების თითოეულ ფორმას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - შუალედური შეფასებისთვის მინიმუმ 25 ქულა, დასკვნითი შეფასებისთვის მინიმუმ 16 ქულა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელიც სემესტრის განმავ-ლობაში შუალედური შეფასებებით დააგროვებს მინიმუმ 25 ქულას;

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება დადგინდეს შეფასების კომპონენტის/კომპონენტებისთვისაც, რაც დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსით.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მინიჭების შემთხვევაში.

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კურსში კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს წარმატებით დასრულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში;
სასწავლო კურსი ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას.

სტუდენტთა შეფასება განისაზღვრება შემდეგი შეფასების სისტემის მიხედვით:
პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა:
ხუთი სახის დადებითი შეფასება:
(A) ფრიადი _ მაქსიმალური შეფასების 91ქულა და მეტი:
(B) ძალიან კარგი _ მაქსიმალური შეფასების 81-90ქულა:
(C) კარგი _ მაქსიმალური შეფასების 71-80ქულა:
(D) დამაკმაყოფილებელი _ მაქსიმალური შეფასების 61-70ქულა:
(E) საკმარისი _ მაქსიმალური შეფასების 51-60ქულა:
ორი სახის უარყოფითი შეფასება:
(FX) ვერ ჩააბარა _ მაქსიმალური შეფასების 41- 50ქულა;
(F) ჩაიჭრა _ მაქსიმალური შეფასების 40ქულა და ნაკლები;

(FX) ვერ ჩააბარა _ მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტი დამატებით დასკვნით გამოცდაზე გადის იმავე სემესტრში;

(F) ჩაიჭრა _ მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი, ვალდებულია ახლიდან გაიაროს სასწავლო კურსი;

სტუდენტს შეუძლია მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ერთი და იგივე სასაწავლო კურსი აიღოს ორჯერ, მათ შორის, მიღებული დადებითი შეფასების გაუმჯობესების მიზნითაც;
სამაგისტრო ნაშრომი ფასდება სასწავლო კურსის შეფასების სისტემით;
სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (კუმულატიური ქულის გამოთვლა ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოსაც).
კუმულატიური ქულის გამოთვლა შემდეგნაირად განხორციელდეს: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი გამრავლდეს ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ ამ რიცხვების საერთო ჯამი გაიყოს სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე.

სამაგისტრო პროგრამა
„ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვა“
კურიკულუმი

პროგრამის განსახორციელებლად მისაღწევი რესურსები
მატერიალური რესურსი: • კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე); • სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი; • ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა; • სველი წერტილები; • ბუნებრივი განათება; • გათბობის საშუალებები; • ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; • ევაკუაციის გეგმა; • სამედიცინო დახმარების მექანიზმები (სამედიცინო კაბინეტი); • წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა); • კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა; • საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; **ადამიანური რესურსი:** • აკადემიური პერსონალი შერჩეული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. • მასწავლებლებად უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები

1. **ფლობს და იყენებს** ვებ და მულტიმედია პროექტების ტექნოლოგიებს და მენეჯმენტის არსებულ, ახალ და ინოვაციურ თეორიებს და მეთოდებს; იკვლევს და აღწერს ბაზრის მოთხოვნებს სხვადასხვა სამეცნიერო, საინჟინრო, საგანმანათლებლო და კომერციულ სფეროში მულტიმედია პროექტების განხორციელების აუცილებლობის დადგენის, მართვისა და დანერგვის მიზნით;

სამიზნე ნიშნული:
MEI 934-ვებ პლატფორმაზე დაფუძნებული დეველოპმენტი (WEB API,ASP.NET MVC)
MEI 103-ვებ პლატფორმები და მათი კომბინირება
MEI 509-ვებ და მულტიმედიური პროექტის მართვა
MEI 933-მონაცემთა ბაზების მართვა C# აპლიკაციიდან
MEI 916; MEI 311-პრაქტიკული კომპონენტი
MEI 915-საკვალიფიკაციო ნაშრომი- პროექტი (განმარტებითი ბარათით-პრეზენტაცია)

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:
პრაქტიკული დავალება; ზეპირი აქტივობა; ტესტი თეორიული და პრაქტიკული საკითხები; საშინაო დავალების პრეზენტაცია; ამოცანის გადაწყვეტა; პროექტის მომზადება; სემინარის მომზადება; ლაბორატორიული სამუშაო; ინტერნეტ–რესურსების მოძიება; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; პრაქტიკული აქტივობა; ინიციატივის გამოვლენა; ტერმინოლოგიის გამართულობა; პროექტის სტრუქტურულ-შინაარსობრივი აღწერა; პროექტის აქტუალურობა; სტანდარტებთან შესაბამისობა; მოხსენების ოსტატურად წარმართვა; პროექტის პროფესიულად წარმოდგენა; პროექტის განმარტებითი ბარათი ოპტიმალური და გამართული; პროფესიული უნარების გამოვლენა; მართვის

გეგმა; საჭირო რესურსების საკმარისობა; პრეზენტაციის დიზაინი; პროექტის შედეგების დასაბუთება; პროექტის დასაწყისისა და დასასრულის გააზრება.

2. **ახორციელებს** პრაქტიკულ და მოძიება-მოკვლევის საქმიანობას ინფორმატიკის და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების სხვადასხვა სფეროში, ამუშავებს სფეროსათვის დამახასიათებელ მონაცემებს, მიღებული ღრმა და სისტემური ცოდნის კრიტიკული გააზრების საფუძველზე. შეაქვს წვლილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით სფეროს განვითარებაში;

სამიზნე ნიშნული:
MEI 910-მონაცემთა ბაზების დაპროექტება და მართვის სისტემები
MEI 304-მანქანური სწავლება PHITON გარემოში
MEI 933-მონაცემთა ბაზების მართვა C# აპლიკაციიდან
MEI 916; MEI 311-პრაქტიკული კომპონენტი
MEI 915-საკვალიფიკაციო ნაშრომი- პროექტი (განმარტებითი ბარათით-პრეზენტაცია)

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:
პრაქტიკული დავალება; ზეპირი აქტივობა; ტესტი თეორიული და პრაქტიკული საკითხები; საშინაო დავალების პრეზენტაცია; ამოცანის გადაწყვეტა; პროექტის მომზადება; სემინარის მომზადება; ლაბორატორიული სამუშაო; ინტერნეტ–რესურსების მოძიება; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; პრაქტიკული აქტივობა; ინიციატივის გამოვლენა; ტერმინოლოგიის გამართულობა; პროექტის სტრუქტურულ-შინაარსობრივი აღწერა; პროექტის აქტუალურობა; სტანდარტებთან შესაბამისობა; მოხსენების ოსტატურად წარმართვა; პროექტის პროფესიულად წარმოდგენა; პროექტის განმარტებითი ბარათი ოპტიმალური და გამართული; პროფესიული უნარების გამოვლენა; მართვის გეგმა; საჭირო რესურსების საკმარისობა; პრეზენტაციის დიზაინი; პროექტის შედეგების დასაბუთება; პროექტის დასაწყისისა და დასასრულის გააზრება.

3. **აანალიზებს და აფასებს** არსებული სისტემების ქმედითუნარიანობის გამოკვლევის, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის გადაწყვეტილებების შედეგებს, აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნას, იღებს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების თაობაზე სხვადასხვა პრაქტიკულ და კვლევით სფეროში;

სამიზნე ნიშნული
MEI 409-კიბერ უსაფრთხოება, დაცვა და შეტევა
MEI 104-ხელოვნური ინტელექტი
MEI 607-კონტენტის მენეჯმენტის სისტემები
MEI 603-ბიზნესის ანალიტიკის ინსტრუმენტები
MEI 805-R-პროგრამირების ტექნოლოგიები
MEI 916; MEI 311-პრაქტიკული კომპონენტი
MEI 915-საკვალიფიკაციო ნაშრომი- პროექტი (განმარტებითი ბარათით-პრეზენტაცია).

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:
პრაქტიკული დავალება; ზეპირი აქტივობა; ტესტი თეორიული და პრაქტიკული საკითხები; საშინაო დავალების პრეზენტაცია; ამოცანის გადაწყვეტა; პროექტის მომზადება; სემინარის მომზადება; ლაბორატორიული სამუშაო; ინტერნეტ–რესურსების მოძიება; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; პრაქტიკული აქტივობა; ინიციატივის გამოვლენა; ტერმინოლოგიის გამართულობა; პროექტის სტრუქტურულ-შინაარსობრივი აღწერა; პროექტის აქტუალურობა; სტანდარტებთან შესაბამისობა; მოხსენების ოსტატურად წარმართვა; პროექტის პროფესიულად წარმოდგენა; პროექტის განმარტებითი ბარათი ოპტიმალური და გამართული; პროფესიული უნარების გამოვლენა; მართვის გეგმა; საჭირო რესურსების საკმარისობა; პრეზენტაციის დიზაინი; პროექტის შედეგების დასაბუთება; პროექტის დასაწყისისა და დასასრულის გააზრება.

4. **იჩენს** ინიციატივას გუნდური მუშაობის და გადაწყვეტილების შემუშავების პროცესში, ავლენს სწრაფი ორიენტირებისა და ეფექტური მოქმედების უნარს. გუნდური მუშაობის პროცესში ავლენს განსხვავებული აზრის მიღების უნარს და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები;

სამიზნე ნიშნული

MEI 509-ვებ და მულტიმედიური პროექტის მართვა
MEI 934-ვებ პლატფორმაზე დაფუძნებული დეველოპმენტი (WEB API,ASP.NET MVC)
MEI 916; MEI 311-პრაქტიკული კომპონენტი
MEI 915-საკვალიფიკაციო ნაშრომი- პროექტი (განმარტებითი ბარათით-პრეზენტაცია)
MEI 805-R-პროგრამირების ტექნოლოგიები

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:

პრაქტიკული დავალება; ზეპირი აქტივობა; ტესტი თეორიული და პრაქტიკული საკითხები; საშინაო დავალების პრეზენტაცია; ამოცანის გადაწყვეტა; პროექტის მომზადება; სემინარის მომზადება; ლაბორატორიული სამუშაო; ინტერნეტ–რესურსების მოძიება; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; პრაქტიკული აქტივობა; ინიციატივის გამოვლენა; ტერმინოლოგიის გამართულობა; პროექტის სტრუქტურულ-შინაარსობრივი აღწერა; პროექტის აქტუალურობა; სტანდარტებთან შესაბამისობა; მოხსენების ოსტატურად წარმართვა; პროექტის პროფესიულად წარმოდგენა; პროექტის განმარტებითი ბარათი ოპტიმალური და გამართული; პროფესიული უნარების გამოვლენა; მართვის გეგმა; საჭირო რესურსების საკმარისობა; პრეზენტაციის დიზაინი; პროექტის შედეგების დასაბუთება; პროექტის დასაწყისისა და დასასრულის გააზრება.

5. **მსჯელობს** აკადემიური კეთილსინდისიერებით, შესაბამის ფორმატში და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით საკუთარი დასკვნების, არგუმენტებისა და მეთოდების შესახებ აკადემიური ან/და პროფესიული საზოგადოების წინაშე ქართულ და უცხოურ ენებზე, იყენებს საზოგადოებასთან ურთიერთობის პრინციპებს;

სამიზნე ნიშნული

MEI 915-საკვალიფიკაციო ნაშრომი- პროექტი (განმარტებითი ბარათით-პრეზენტაცია)

წარმოადგენს არსებულ ინფორმაციას და საკუთარ არგუმენტებს წერილობითი და ზეპირი ფორმით ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ;

მსჯელობს და წარმოადგენს შესაბამის ინფორმაციას მშობლიურ ენაზე;

მსჯელობს და წარმოადგენს შესაბამის ინფორმაციის უცხოურ ენაზე;

სარგებლობს ინფორმაციული ტექნოლოგიების ტერმინოლოგიით ინფორმაციის წარმოდგენისას;

პატივს სცემს განსხვავებულ აზრს;

იყენებს ეფექტურად საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ინფორმაციის წარმოდგენისას.;

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:

პრაქტიკული დავალება; ზეპირი აქტივობა; ტესტი თეორიული და პრაქტიკული საკითხები; საშინაო დავალების პრეზენტაცია; ამოცანის გადაწყვეტა; პროექტის მომზადება; სემინარის მომზადება; ლაბორატორიული სამუშაო; ინტერნეტ–რესურსების მოძიება; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; პრაქტიკული აქტივობა; ინიციატივის გამოვლენა; ტერმინოლოგიის გამართულობა; პროექტის სტრუქტურულ-შინაარსობრივი აღწერა; პროექტის აქტუალურობა; სტანდარტებთან შესაბამისობა; მოხსენების ოსტატურად წარმართვა; პროექტის პროფესიულად წარმოდგენა; პროექტის განმარტებითი ბარათი ოპტიმალური და გამართული; პროფესიული უნარების გამოვლენა; მართვის გეგმა; საჭირო რესურსების საკმარისობა; პრეზენტაციის დიზაინი; პროექტის შედეგების დასაბუთება; პროექტის დასაწყისისა და დასასრულის გააზრება.

6. **ასრულებს** საკვალიფიკაციო ნაშრომს-პროექტს. დამოუკიდებლად ახდენს თემის შესაბამისი მასალების, პრაქტიკული ხედვებისა და ანალოგების მოძიება-მოკვლევას.

ადგენს პროექტის შექმნის, მართვისა და დანერგვის გეგმას. ახდენს შესრულებული ნაშრომის პრეზენტაციას. **გეგმავს, განსაზღვრავს და წარმართავს** პროფესიული ცოდნის გაღრმავებისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, საკუთარი პერმანენტული სწავლის და კარიერული ზრდის მიმართულებებს;

სამიზნე ნიშნული:
MEI 915-საკვალიფიკაციო ნაშრომი- პროექტი (განმარტებითი ბარათით-პრეზენტაცია)
MBAE 6005-პროექტის მენეჯმენტი
MEI 300-სამეცნიერო-საგანმანათლებლო ელექტრონული სისტემები
MEI 916; MEI 311-პრაქტიკული კომპონენტი

გეგმავს სამუშაოს;
იძიებს შესაბამის ინფორმაციას მშობლიურ ენაზე;
იძიებს შესაბამის ინფორმაციის უცხოურ ენაზე;
ახდენს მახასიათებლების ანალიზს;
აანალიზებს მოძიება-მოკვლევის შედეგებს; აყალიბებს შესაბამის დასკვნას;
მოიძიებს და იყენებს შესაბამის მასალასა და ლიტერატურას;
ანაწილებს ფუნქციებს;
იღებს ინიციატივას და საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებლობას .
გეგმავს საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებას;

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:
პრაქტიკული დავალება; ზეპირი აქტივობა; ტესტი თეორიული და პრაქტიკული საკითხები; საშინაო დავალების პრეზენტაცია; ამოცანის გადაწყვეტა; პროექტის მომზადება; სემინარის მომზადება; ლაბორატორიული სამუშაო; ინტერნეტ–რესურსების მოძიება; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; პრაქტიკული აქტივობა; ინიციატივის გამოვლენა; ტერმინოლოგიის გამართულობა; პროექტის სტრუქტურულ-შინაარსობრივი აღწერა; პროექტის აქტუალურობა; სტანდარტებთან შესაბამისობა; მოხსენების ოსტატურად წარმართვა; პროექტის პროფესიულად წარმოდგენა; პროექტის განმარტებითი ბარათი ოპტიმალური და გამართული; პროფესიული უნარების გამოვლენა; მართვის გეგმა; საჭირო რესურსების საკმარისობა; პრეზენტაციის დიზაინი; პროექტის შედეგების დასაბუთება; პროექტის დასაწყისისა და დასასრულის გააზრება

7. **ამუშავებს** ბაზრის ანალიზის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას ცალკეული ბიზნეს ამოცანების გადაწყვეტისთვის; **იყენებს** კომპლექსური, არაპროგნოზირებადი სასწავლო და სამუშაო გარემოს სამართვად თანამედროვე მარკეტინგულ მეთოდებს; **აანალიზებს** უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით საერთაშორისო ბაზრის შერჩევისა და გლობალური მარკეტინგული პროგრამების შემუშავების ახალ გზებსა და იდეებს;;

სამიზნე ნიშნული:
MEI 603-ბიზნესის ანალიტიკის ინსტრუმენტები
MEI 916; MEI 311-პრაქტიკული კომპონენტი
MBAC 5001-მარკეტინგის მენეჯმენტი
იყენებს თანამედროვე მარკეტინგულ მეთოდებს;
ამუშავებს მიძიებულ ინფორმაციას
აანალიზებს უახლეს მიღწევებს
აანალიზებს ბაზრის მოთხოვნებს;

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: პრაქტიკული დავალება; ზეპირი აქტივობა; ტესტი თეორიული და პრაქტიკული საკითხები; საშინაო დავალების პრეზენტაცია; ამოცანის გადაწყვეტა; პროექტის მომზადება; სემინარის მომზადება; ლაბორატორიული სამუშაო; ინტერნეტ–რესურსების მოძიება; საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; პრაქტიკული აქტივობა; ინიციატივის

სამაგისტრო პროგრამა
„ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვა“
კურიკულუმი

გამოვლენა; ტერმინოლოგიის გამართულობა; პროექტის სტრუქტურულ-შინაარსობრივი აღწერა; პროექტის აქტუალურობა; სტანდარტებთან შესაბამისობა; მოხსენების ოსტატურად წარმართვა; პროექტის პროფესიულად წარმოდგენა; პროექტის განმარტებითი ბარათი ოპტიმალური და გამართული; პროფესიული უნარების გამოვლენა; მართვის გეგმა; საჭირო რესურსების საკმარისობა; პრეზენტაციის დიზაინი; პროექტის შედეგების დასაბუთება; პროექტის დასაწყისისა და დასასრულის გააზრება

სამიზნე ნიშნულების შეფასების კრიტერიუმები

	კრიტერიუმები					
	A	**B**	**C**	**D**	**E**	**F**
სამიზნე ნიშნული	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის სანიმუშოდ გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის ბრწყინვალე შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის მაღალი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის კარგი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის დამაკმაყოფილებლად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის დამაკმაყოფილებელი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის საკმარისად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის საკმარისი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან მწირი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის არქონის ჩვენება

დანართი 1- პროგრამის სასწავლო გეგმა;
დანართი2 : მიზნების და შედეგების რუკა;
დანართი 3: სწავლების შედეგების რუკა;
დანართი 4: CV - ნინა კარბელაშვილი